

ქ.კ.ს ტ ე ლ ე პ რ მ ა პ ა ნ ი ა

"გ უ რ ჯ ა ნ ი ა "



TV COMPANY "GURJAANI"

საქართველო; 1500; ქვერჯაანი; ნონეშვილის ქ. 14; ტელ: +995 353 22-33-30 ფოსტა: tkg11@mail.ru
ელექტრონული ფოსტა: Gurjaani; შ. noneshvili #14 თ. +995 353 22-33-30 Email: info@gurjaanity.ge / www.gurjaanity.ge
საიდენტიფიკაციო ქოდი: 227717307

გადაწყვეტილება საქმეზე – ტელეკომპანია „გურჯაანის“
ინიციატივით განხილული საქმე გიორგი ღვინიაშვილის
პრეტენზიაზე

გადაწყვეტილება N02

19 ოქტომბერი 2016 წელი

საქმეზე – გიორგი ღვინიაშვილი ტელეკომპანია „გურჯაანის“ წინააღმდეგ
კომისიის წევრები: ლევან ალექსიშვილი, ნინო სამნაშვილი, გურამ ნათიშე

აღწერილობითი ნაწილი

ტელეკომპანია „გურჯაანის“ მომხმარებელთა საჩივრების განხილვის
კომისიამ საკუთარი ინიციატივით განიხილა „ნაციონალური მომრაობის“
გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გიორგი ღვინიაშვილის
პრეტენზია. მან ტელეკომპანია „გურჯაანი“ მიკერძოებაში დაადანაშაულა. მისი
განცხადებით, ტელეკომპანია „გურჯაანი“, 2016 წლის 23 სექტემბერს გამართულ
სატელევიზიო დებატებში, დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის VI თავის
(საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების გადაცემა და არჩევნების გაშუქება)
23-ე მუხლის მე-2-ე პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ:

კრძო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი, რომელიც ახორციელებს საერთო
მაუწყებლობას და აშენებს არჩევნებს ვალდებულია, კვალიფიციურ საარჩევნო
სუბიექტებსა და მათ კანდიდატებს თანამარად დაუთმოს საეთერო დრო ისე, რომ
მათ შეძლონ ამომრჩევლის ინფორმირება საკუთარი პოლიტიკური პროგრამის,
პოზიციების და კვალიფიციურობის შესახებ.

მომჩივანის თქმით, არხმა ასევე დაარღვია საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის
(წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა) მეორე
ქვეპუნქტი, რომელიც ამბობს:

საერთო მაუწყებელმა, რომელიც გადაწყვეტს, წინასაარჩევნო კამპანია საკუთარ
ეთერში გაშუქოს, წინასაარჩევნო დებატები უნდა გადასცეს არადისკრიმინაციულად
და ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით, თავისი
მოშასახურების ზონაში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

განმცხადებლის არგუმენტაცია:

„ნაციონალური მოძრაობის „წევრის არგუმენტაციით, ტელეკომპანია
„გურჯაანმა“ დაარღვია სამართლიანობის პრინციპი და ტელედებატებში
ბოლო სიტყვის თქმის საშუალება მისცა „ქართულ ოცნებას“, რითაც დაირღვა
მაუწყებელთა ქცევის კოდექსის VI თავის (საზოგადოებრივ-პოლიტიკური
პროგრამების გადაცემა და არჩევნების გაშუქება) 23-ე მუხლის მე-2-ე პუნქტი,
რომელიც არჩევნების თანაბარ პირობებში გაშუქებას ეხება. და ასევე საარჩევნო
კოდექსის 51-ე თავი, რომელიც მედიის მიერ არჩევნების გაშუქებას ეხება.

კომისიის შეფასება

ტელეკომპანია „გურჯაანის“ ეთერში ტელედებატები, რეგიონულ
მაუწყებელთა ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა, რომელსაც მხარს უჭერდა
საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.
გადაცემის ფორმატის მიხედვით, მასში მონაწილეობდნენ მხოლოდ
კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები.
რიგითობა და გადაცემის სხვადასხვა ბლოკში მათი გადანაწილება თბილისში
ჩატარებული წილისყრის შედეგად განისაზღვრა, რომელშიც ცხრავე კვალიფიციური
სუბიექტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. წილისყრის შედეგად, ერთიანი
„ნაციონალური მოძრაობა“ ცხრა პარტიას შორის მერვე აღმოჩნდა, ხოლო „ქართული
ოცნება“ - მეცხრე. შესაბამისად, ტელეკომპანია „გურჯაანმა“, თბილისში დადგენილი
რიგითობის მიხედვით მისცა კანდიდატებს სიტყვა.

დასკვნა

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიიღო
გადაწყვეტილება, რომ ტელეკომპანია „გურჯაანს“ არ დაურღვევია არც
მაუწყებელთა ქცევის კოდექსის VI თავის 23-ე მუხლის მე-2-ე და მე-3-ე ქვეპუნქტები
და არც საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლი. მაუწყებელს ასევე არ ჩაუყენებია
„ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი არათანაბარ პირობებში სხვებთან
შედარებით და ტელეკომპანია „გურჯაანმა“ მას ადეკვატური დრო დაუთმო
იმისათვის, რომ საარჩევნო პროგრამა და მიზნები გაეცნო მაყურებლისთვის.

შ.პ.ს ტელეკომპანია „გურჯაანი“

დირექტორი: თ. აბელაშვილი

თ. აბელაშვილი